სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

ოდიში

1990 ივლისი 14 ოთხშაბათი №64 (10321) ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

სკკ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო
ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ, ГОРОДСКОГО И РАЙОННОГО СОВЕТОВ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ

სპეციალური ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 28-ე ყრილობა

1990 წლის 9 ივლისს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სახახლეში, მუშაობა განაგრძო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 28-ე ყრილობამ. დილის პლენარულ სხდომაზე თავმჯდომარეობდა ნ. ი. რიჟკოვი—სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

დელეგატებმა საფუძვლად მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშის შესახებ სკკპ 28-ე ყრილობის რეზოლუციის პროექტი.

შემდეგ სხდომაზე გაიმართა აზრთა გაზიარება ზოგიერთ წიმდინარე და პროცედურულ საკითხზე.

შემდეგ კითხვებზე პასუხი გასცეს: ა. ა. ნიზოვცევამ—სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, და ნ. ე. კრუჩინამ—სკკპ ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველმა.

★

1990 წლის 10 ივლისს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სახახლეში, მუშაობა განაგრძო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 28-ე ყრილობამ.

დილის სხდომას თავმჯდომარეობდა ს. ი. გურენკო—უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

პარტიის 28-ე ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშის განხილვის შედეგების

★

10 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ საღამოს სხდომაზე დელეგატებმა მოისმინეს ვ. ა. შედვედევის,—სკკპ 28-ე ყრილობის საპროგრამო განცხადების—„მუშაური, დემოკრატიული სოციალიზმისაკენ"—პროექტის მოსამზადებელი კომისიის ხელმძღვანელის ინფორმაცია.

შემდეგ გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის არჩევნები.

ამის შემდეგ ყრილობის მონაწილეებმა განიხილეს სკკპ 28-ე ყრილობის საპროგრამო განცხადების პროექტის განხილვა.

საღამოს სხდომის დასასრულს ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ გამოაქვეყნა კენჭისყრის შედეგები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად არჩეულია მ. ს. გორბაჩოვი. დელეგატებმა დაამტკიცეს ხმის დამთვლელი კომისიის ოქმი.

ყრილობის მონაწილეთა წინაშე მოკლე სიტყვა წარ-

ყრილობამ დაამტკიცა სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში.

შესვენების შემდეგ ყრილობამ მოისმინა და ცნობად მიიღო ი. ა. მანუილოვის—სკკპ 28-ე ყრილობის სამანდატო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია შემოსულ შეკითხვებთან დაკავშირებით ზოგიერთი დელეგატის უფლებამოსილებათა შემოწმების შესახებ.

დელეგატებმა ყოველმხრივ განიხილეს და მიიღეს ყრილობის შემდეგი რეზოლუციები:

„თანამედროვე ეტაპზე პარტიის საშინაო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შესახებ".

„დემოკრატიულ უფლებათა დასაცავად, კომუნისტთა დევნის წინააღმდეგ".

შემდეგ სიტყვა მიეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ა. ნ. იაკოვლევს, რომელმაც გააპროტესტა დელეგატთა ჯგუფთან მიხი ერთ-ერთი შეხვედრის შესახებ

★

თაობაზე გამოვიდა მ. ს. გორბაჩოვი.

შემდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლუცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშის შესახებ.

შესვენების შემდეგ ყრილობა შეუდგა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე კანდიდატურების დასახელებას და განხილვას.

დასახელებულ კანდიდატურათა განხილვის შედეგად

★

მოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის პრეზიდენტმა მ. ს. გორბაჩოვმა.

1990 წლის 11 ივლისს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სახახლეში მუშაობა განაგრძო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 28-ე ყრილობამ.

დილის სხდომა მიმდინარეობდა ა. ნ. მუთალიბოვის—აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, აზერბაიჯანის სსრ პრეზიდენტის თავმჯდომარეობით.

ყრილობაზე გრძელდებოდა რეზოლუციათა პროექტების განხილვა.

შესვენების შემდეგ სხდომას თავმჯდომარეობდა მ. ს. გორბაჩოვი—სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

დელეგატებმა განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოადგილის თანამდებობაზე დასახელებული კანდიდატურები. ფარული კენჭის-

ყრილობაზე არაოფიციალურად გავრცელებული ცნობები და ამაზე ყოველდღე უსაფუძვლო მონაცემები უწოდა.

მიცემულია დავალება გაერკვნენ ამ განცხადების ფაქტების გამო.

კითხვებზე პასუხი გასცა სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ა. კრიუჩკოვმა.

საღამოს სხდომაზე, რომელსაც ა. ი. ლუკიანოვი თავმჯდომარეობდა, დელეგატები შეუდგნენ სკკპ წესდების პროექტის განხილვას.

ინფორმაცია ყრილობის მონაწილეთა მიერ შეტანილი ცვლილებების და დამატებების შესახებ გააკეთა კომისიის ხელმძღვანელმა ბ. ნ. გორბაჩოვმა. ყრილობამ პარტიის წესდების პროექტი მიიღო საფუძვლად. რის შემდეგაც ლაიწყო შენწორებებისა და შენიშვნების დეტალური განხილვა.

★

ფარული კენჭისყრისათვის სიაში შეიტანეს თ. გ. ავალიანი და მ. ხ. გორბაჩოვი.

ყრილობამ შექმნა ხმის დამთვლელი კომისია არჩევნების მოწყობისათვის.

* * *

გაიმართა არჩევნები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად კვლავ არჩეულია მიხეილ სერგეის ძე გორბაჩოვი.

★

ყრის სიაში შეტანილი იყვნენ ა. ს. დუდარევი, ვ. ა. ივაშკო, ი. კ. ლიგაჩოვი.

შემდეგ დელეგატებმა განიხილეს ცენტრალური სალაკონტროლო კომისიის თავმჯდომარის პოსტზე დასახელებული კანდიდატურები და კენჭისყრის სიაში დატოვეს ვ. ა. პროხოროვი და ბ. კ. პუგო.

საღამოს სხდომაზე ყრილობამ მოიწონა საპროგრამო განცხადება „მუშაური, დემოკრატიული სოციალიზმისაკენ". შემდეგ მიიღეს დადგენილება, რომელიც ყველა კომუნისტს ავალებს იხელმძღვანელონ 28-ე ყრილობის საპროგრამო განცხადებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის მიღებამდე.

ბოლო სხდომაზე, რომელსაც ა. ი. ლუკიანოვი უძღვებოდა, გაიმართა კენჭისყრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოადგილისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის არჩევნების გამო.

სკკპ 28-ე ყრილობა: ეხმაურებიან მშრომელები

მხოლოდ რეალური საქმეებით

როცა სკკპ 28-ე ყრილობის ფასკვნელობას თვალს ადევნებ, უკმაყოფილების გრძნობა გიჩნდება. ჯერ კიდევ ძალზე დიდია რაოდენობა ადამიანებისა, რომლებიც ძველებურად აზროვნებენ, უკვე ყაგლგასულა იდეოლოგიური დოგმებისა და პრინციპების ტყეეობაში არიან. არის „აპარატჩიკების" ძლიერი ფრთა", რომელთაც სურთ ძველებურად მართონ, არიდო ცხოვრება წინ წავიდა, ხელმძღვანელი, ეინც ,ნმაარ'ბს - ან უწევს დრო-

ს! მიერ მოტანილ სიახლეებს, ახალ ფორმებს, სტრუქტურებს, ვერაფერ სასიკეთოს ვერ მოუტანს 'გარდაქმნას. საჭიროა კომუნისტურმა პარტიამ თანდათან უარი თქვას თავის მმართველობით ფუნქციებზე და იქცეს პარლამენტურ პარტიად. დემოკრატიული მექანიზმების წყალობით სახეშეცვლილმა უნდა მოახერხოს კონსოლიდაცია და იბრძოლოს თავისი ავანგარდული როლის შესრულებისათვის. მაგრამ ცნებები ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ. პარტიის მხრიდან დიქტატი და მონოპოლია წარსულს ავბედით საბრძოლო იარაღთა არსენალის კუთვნილებად უნდა დარჩეს. რაც შეეხება საქართველოს კომპარტიას, ეპვი არ მეპარება, რომ იგი დამოუკიდებლობის სტატუსს მოიპოვებს.

ა. დაგარგულია,
საწარმოო კოოპერატივ სარემონტო-მექანიკური კომბინატის პროფკომიტეტის თავმჯდომარე.

რადიკალურად უნდა განახლდეს

კომუნისტურ პარტიას არ უნდა ჰქონდეს პრეტენზია რაიმე პრივილეგიები ჰქონდეს სხვა პოლიტიკურ ძალებთან შედარებით. ავტორიტეტი უნდა მოიპოვოს მხოლოდ გონივრული პოლიტიკით, რეალური ღონისძიებებით და არა ბრძანებებითა და დიქტატით. ეს მოთხოვნები უფრო გარკვევით უნდა ჩაიდოს პარტიის აგებულების ახალ მოდელში.

სკკპ 28-ე ყრილობის მუშაობას ყურადღებით ვადევნებ თვალს. ზოგ ჩემს კოლეგას აფიქრებს ის ფაქტი, რომ პარტია ძალზე მწვავე დისკუსიის, ურთიერთდაპირისპირების ობიექტი ხდება. ჩემის აზრით ამაში საგანგაშო არაფერია. პარტია ძირფესვიანად უნდა განახლდეს, რადიკალურად უნდა იქნას გადასინჯული ის მიზნები და ამოცანები, რისი განხორციელებისათვის არის იგი მოწოდებული.

რ. ᲗᲐᲑᲐᲠᲘᲫᲔ,
ჯიხაშკარის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲯᲔ ᲛᲐᲒᲣᲚᲝ. ᲑᲠᲫᲝᲚᲑᲐ ᲨᲔᲜᲘ ᲛᲝᲕᲚᲘᲡᲐ!

მოვუაროთ საქართველოს

ამასწინათ ზუგდიდში ჩატარებულმა პოლიტიკურმა აქციებმა ცხადყო, რომ ეროვნულ მოძრაობას ყავს ჭეშმარიტი ჭირისუფალნი. სინამდვილის ფანატიზმი დულობა და ტრაგიზმი თუ ბოლომდე არ გავიცნობიერეთ, ოფიციოზი კვლავაც შეეცდება თავისუფლების იდეა დაგვიწყოს. დღითიდღე სულ უფრო ხაშიში ხდება ანტიდემოკრატიული ძალები, ამიტომ ფხიზლად უნდა ვიყოთ. დროულად ამოვიცნოთ ყველა ჯურის ანტიქრისტეები, რომლებსაც სურთ ეროვნულ მოძრაობაზე ხელები მოითბონ. ეროვნულ მოძრაობას არ სჭირდება თავის თავში შეუყვარებული პოლიტიკური ნაწრცესები. მას კოტასთავს შეთქმული ერისთავების დარი მამულიშვილები სჭირდება.

ჩვენ უნდა გავემიჯნოთ ველიკოდერჟავულ, კონსერვატორულ რუსეთს მის ნებისმიერ გამოვლინებაში. მაგრამ სამეგობრო ხელი უნდა გავუწოდოთ რუს დემოკრატებს, იური აფანასიევს, იური ვლასოვს, ნიკოლოზ ტრაგკინს, ბორის ვასილიევს დარ პიროვნებებს, რომელთაც ქვეყნის დემოკრატიულად მოწყობა განუზრახავთ.

საქართველოს ჭეშმარიტი ჭირისუფლებისაგან ქართული სოფელი ელის ახალ ეკონომიკურ სტრუქტურებს, რომლებიც დაიხსნის ჩვენს გლეხობას კაბალური შრომისაგან. ეკონომისტებმა დაუყოვნებლივ უნდა შეიმუშაონ მოდელები, რომლებიც სახალხო მეურნეობის პრივატიზაციის პროცესს დაგვაჩქარებინებს. სანამ საქართველო ვერ დაიღწევს თავს სოციალურ სიბეჩავეს, უმართავი დაგვრჩება დემოგრაფიული სიტუაციაც. მაგრამ ყველაზე დიდი გაჭირვება ავტორიტარული სისტემის მიერ დეფორმირებული ცნობიერების აღდგენა გახლავთ. ამიტომ გვევალება ყველას: შევიცვალოთ გულები, მოვაშოთოთ საკუთარ თავში ყალბი კერპები და აღვიზოთ ერომაზეთის და ქრისტეს სიყვარულით. თაღის დროზე, კერძოდ მე-19 საუკუნის საქართველოში იმიტომ შეფერხდა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობა, რომ ჩინ-მედლებს დახარბებულმა ქართველმა თავადაზნაურებმა ზურგი აქციეს ილია მართლის გზას. სამწუხაროდ, მათ კვალს დღესაც მიყვებიან სიბეჩოური ჯილდოებით თვალდაბრმავებული ფუნქციონერები. ეროვნული მოძრაობა ყოველ მათგანს აძლევს მონანიების, შინაგანი თვითგანწმენდის შანსს. ყველამ უნდა გავიგოთ, რომ არსებობს ზეკლასობრივი, ზეპარტიული წმიდათაწმიდა ცნება—სამშობლო და ნებისმიერ თანამდებობას იგი ექსპერიმენტების პოლიგონი ვერ გახდება. ყოველივე უნდა დაექვემდებაროს სამოლოო პოლიტიკურ მიზანს—საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. სწორედ ამ გზაზე გვჭირდება სიბრძნე, ყველა ვარიანტის აწონვა-გაზომვა, გვჭირდება შეთანხმება მამულიშვილებისა, რომელთაც გამორჩეული და მესიანური ფუნქცია, მომავლის სწორად გათვლისა და განჭვრეტის ალღო დაანათლა ერსთა გამრიგემ.

ისტორიულად კოლხეთს მუდამ პროგრესული როლი უთამაშია საქართველოს სახელმწიფოებრივი თვითდამკვიდრებისა და ეროვნული ცნობიერების ამაღლების გზაზე. ვერც ირანულმა მაზდეანობამ და ვერც მალალ-კულტურული ბიზანტიის ექსპანსიამ ვერ მოუშალა ჩვენს ხალხს სულიერი თვითმყოფადობა. ჩვენ იმ კუთხის შვილები ვართ, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე ამუშავებდა ფოლადს, ოქროს და ევრობაში გაჰქონდა გასაყიდად. ჩვენ მეფეთა და ოქროს საწმისის მშვენიერი ლეგენდის შემქმნელი ხალხი ვართ. ოკუზა და კორცხელში, მარტვილსა და ილორში დღემდე ანთია ანდრია მოციქულის მიერ დანთებული წმიდა ხანური. და ამიტომ დღესაც შეუფალ ბასტიონად უნდა დავდგეთ საყვარელი საქართველოს მათხართა მოსაგერიებლად.

ხალხი მეტს ველარ მოითმენს პიროვნების სულიერად გამაჩანაგებელ პარტოკრატიულ სალტეებს, ოფიციალურა თუ არაოფიციალური სტრუქტურების ადგირახსნილ დიქტატს და ცალკეულ პიროვნებათა პოლიტიკურ ამბიციებს. წინ არის ჩნინ ერთადერთი გზა: მრავალპარტიული, კოალიციური, დემოკრატიული პარლამენტი, რომელმაც უნდა უმკურნალოს საქართველოს ყველა წყლულს.

ზ. ცხონდია,

ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲗᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ

ზუგდიდში სამთავრობო სასახლის ბაღის (ბოტანიკური ბაღის) საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა საქართველოს ექიმთა ასოციაციის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენცია.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ექიმი დელეგატები ზუგდიდის რესპუბლიკური საავადმყოფოდან, ზუგდიდის რაიონული საავადმყოფოდან, ზუგდიდის სტომატოლოგიური პოლიკლინიკიდან (ამ საამედიცინო დაწესებულებებში უკვე შექმნილია ექიმთა ასოციაციის პირველადი ორგანიზაციები) და მოწვეული სტუმრები სამეგრელოს რეგიონის რაიონების საავადმყოფოებიდან.

კონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოს ექიმთა ასოციაციის პრეზიდენტი, პროფესორი გიორგი ლაჩუკეპიანი, გამგეობის წევრები მანანა კვედია, ზურაბ მარშანია, თემურ ჟორჟოლიანი.

შეიქმნა ზუგდიდის ექიმთა ასოციაცია. დამტკიცდა მისი პროგრამა, მართვის სტრუქტურა და მმართველობითი ორგანოებისა არჩევნების წესი. ფარული კენჭისყრით, ალტერნატიული კანდიდატების განხილვით, კონფერენციამ ზუგდიდის ექიმთა ასოციაციის პრეზიდენტად აირჩია რაიონული საავადმყოფოს ქირურგი გოჩა ჩხიკვაძე. ახლად შექმნილ ასოციაციას ექნება საკუთარი ბეჭედი და ანგარიში ბანკში. მისი მიზანია ექიმთა საზოგადოების დემოკრატიული ძალების გაერთიანება, ექიმთა მოქალაქეობრივი, პროფესიული, სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დაცვა, მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით და საკუთარი სპეციფიკის გათვალისწინებით.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ

ᲐᲕᲐᲛᲐᲦᲚᲝᲗ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲗᲐ ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲝᲜᲔ

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის— ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის ბიურომ მოისმინა ზუგდიდის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორის კომუნისტ კ. მიქაიას ანგარიში ეროვნული სკოლის განვითარებისათვის კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაწეული მუშაობის შესახებ.

ზუგდიდის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი,— თქვა ბიუროზე,—ემსახურება დასავლეთ საქართველოს ქალაქებსა და რაიონებს ზუგდიდს, ფოთს, სენაკს, მარტვილს, ხობს, ჩხოროწყუს, წალენჯიხასა და მესტიას. ინსტიტუტის გახსნამ დიდად შეუწყო ხელი მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას. ორგანიზებულად ტარდება საკურსო ლონისძიებები სხვადასხვა დისციპლინებში სემინარების, კონსულტაციების, სასწავლო მეთოდური კონფერენციების სახით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოწინავეთა გამოცდილების შესწავლა-განზოგადებას და სხვა.

ინსტიტუტი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტი კადრებით. მათ შორის აჩიან მეცნიერებათა კანდიდატები, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ წარჩინებული მასწავლებლები, კულტურის დამსახურებული მუშაკები და სხვა.

ინსტიტუტის მიერ მოწყობილ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე და სემინარებზე ხშირად იწვევენ ლექტორებს თბილისისა და სხვა რეგიონების უმაღლესი სასწავლებლებიდან. გარდა ამისა, მასწავლებელთა დახელოვნების საქმეს ემსახურება 16 ადგილობრივი ლექტორი, რომელთაც აქვთ სამეცნიერო ხარისხი.

აქტიურ შემოქმედებით მუშაობას ეწევიან ინსტიტუტის თანამშრომლები. სისტემატურად გამოდიან საკავშირო, რესპუბლიკურ და ადგილობრივ გაზეთებში სამეცნიერო-მეთოდური წერილებით პ. ჯანჯღავა, გ. ფიფია, დ. კუხალეიშვილი, პ. ჯიშკარიანი, ვ. გვასალია და სხვები. ინსტიტუტის თანამშრომელმა ბ. ჭორთუამ შარშან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. გ. ფიფიამ ბოლო ორი წლის მანძილზე ცალკე წიგნად გამოსცა მეთოდური ხასიათის ორი ნაშრომი. მასვე პირველს ჩვენს რეგიონში მაენიჭა ი. გოგებაშვილის მედალი.

ინსტიტუტს გააჩნია კარგად აღჭურვილი ინფორმატიკის კაბინეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს ამ საქმის საუკეთესო სპეციალისტი პ. ჯანჯღავა. აქვე დამონტაჟებულია ოთხი სხვადასხვა სახის კომპიუტერი. მაგრამ ამ მხრივ ბევრ სკოლაში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა.

პედაგოგთა დახელოვნების ინსტიტუტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სიახლეთა დანერგვას, მათ შორის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანია კურორტების ბაზაზე კურსების მოწყობა, როდესაც მასწავლებლებს ეძლევათ საგზურები და კვალიფიკაციის ამაღლების პარალელურად შეუძლიათ დაისვენონ და ამკურნალონ კიდეც. ასეთი კურსები მოეწყო საკავშირო მნიშვნელობის კურორტებზე ცაიშსა და მენჯში. ხოლო წელს იგი ჩატარდა ქვიდუაშის დედათა და ბავშვთა სანატორიუმში.

სიახლეა ისიც, რომ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში ხუთი წელია მოქმედებს საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი მომავალი ფიზიკა-მათემატიკის სკოლა მე-8, მე-10 მე-11 კლასების მოსწავლეებისათვის (ხელმძღვანელი გ. ფიფია). ეს ერთ ფუნქციონირებს დაწყებით კლასებში შემოქმედებითად მომუშავე მასწავლებელთა კლუბი, რომელშიც გაერთიანებულია რაიონის 32 მასწავლებელი (ხელმძღვანელი ლ. ჭილაია). ინსტიტუტის ბიოლოგია-ქიმიის კაბინეტის გამგეები ნ. კარტოზია და მ. ქობალია ხელმძღვანელობენ ახლად დამწყებ მასწავლებელთა კლუბს. გასულ წელიწადში ნაყოფიერად იმუშავა რუსული ენის მომავალი მასწავლებლების კლუბმა (ხელმძღვანელი შ. გაბისონია).

ამასთან საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი სერიოზულ დახმარებას და თანადგომას საჭიროებს. 1981 წელს ინსტიტუტს ამოქმედების პირველსავე დღეებში დაეთმო ზედაეწერის სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმის სასწავლო კორპუსის ნაწილი, ამჟამად კი იგი ონარაის საბჭოთა მეურნეობის არასრული საშუალო სკოლის შენობაშია მოთავსებული და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მხრივ დიდ სიძნელეებს განიცდის. საჭიროა დაჩქარდეს ინსტიტუტისათვის გამოყოფილ მიწის ფართობზე ახალი ტიპიური შენობა-ნაგებობის მშენებლობის დაწყება.

საქართველოს სასკოლო კონცეფციის პროექტის შესაბამისად რეგიონის სახალხო განათლების სისტემის წინაშე მთელი რიგი გადასაწყვეტი პრობლემებია. ეს კი მოითხოვს კადრების ახლებურად მომზადებას. ამ მიზნით საჭიროა მაქსიმალურად იქნას გამოყენებული რეგიონში არსებული პედაგოგიური და ხამეცნიერო პოტენციალი. ინსტიტუტი ჯერ კიდევ არ არის აქტიურად ჩაბმული პრაქტიკულ ექსპერიმენტალურ მუშაობაში. მიზანშეწონილია მას ჰქონდეს მოწინავე გამოცდილების გავრცელებისა და განზოგადება-დანერგვის ერთგვარი პოლიგონი, საბაზისო სკოლა.

საკურსო პროგრამაში გათვალისწინებულ საკითხებთან ერთად ნაკლები ყურადღება ექცევა რეგიონის ისტორიის, მისი გარემოს ბუნებრივი პირობების, ფლორისა და ფაუნის პრაქტიკულ შესწავლას. საკურსო ლონისძიებების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით მეტი ადგილი უნდა დაეთმოს დისკუსიებს და მრგვალი მაგიდების მოწყობას. მოწინავეთა გამოცდილების დანერგვისა და პოპულარიზაციის მიზნით ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული ადგილობრივი პრესა. პედაგოგიური კადრების მომზადების გაუმჯობესების მიზნით ინსტიტუტის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად მიჩნეულ იქნა სათანადო მონაცემების მქონე უფროსი კლასელების გამოვლენა და მათთან მუშაობა, ნორმალური პედაგოგთა სკოლის შექმნა, რომელიც აზიარებს უფროსკლასელებს პედაგოგიურ ანბანს.

ბიუროს დამაკმაყოფილებლად ჩათვალა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორის კ. მიქაიას მუშაობა, ეროვნული სკოლის განვითარებისათვის კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაწეული საქმიანობა და მასვე დავალა ფარაზმოს ინსტიტუტის კოლექტივი ეროვნული სკოლის ორიენტირების შესაბამისად მუშაობის ფორმებისა და მეთოდების დახვეწის, რეგიონის სახალხო განათლების სისტემის წინაშე მდგარი პრობლემების გადასაჭრელად მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისათვის.

სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების წინაშე დაისვა საკითხი ჯეროვანი დახმარება აღმოუჩინონ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების საქმეში, გამონახონ სახსრები მიშენებითი სამუშაოების ჩატარებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალსაზრისი

„გრიშა გიძიას“ ფილოსოფიით შორს ვერ წავალთ

ჩვენ ჭეშმარიტად ფასეულობათა გადაფასების, უფრო სწორად ცრუფასეულობათა დამხობის ეპოქაში ვცხოვრობთ. დაემხვნენ და დაიმსხვრნენ კერპები...

მარქსისტული იდეოლოგია ქადაგებდა, რომ ისტორიას ქმნიდნენ ხალხთა მასები, პიროვნებები კი, დიდი-დიდი მის ანტურაჟს აწარმოებდნენ. პრაქტიკამ კი, ჭეშმარიტების კრიტერიუმმა დაადასტურა: თავად ისტორიაა შემოქმედი, ისტორია თვითონ მიდის თავისი ღვთიური გზით; თვითონ ისტორია ქმნის ხალხებსაც, პიროვნებებსა და პროცესებსაც. ისტორია მიდის დიალექტიკის გზით და სასტიკად უსწორდება მათ, ვინც წინ აღუდგება, მისი განვითარების პროცესს შეაფერხებს ან ჩარხს უკუღმა დაატრიალებს.

ხამოცდაათი წლის განმავლობაში გვმსჯელობდნენ იმ აზრით, რომ საბჭოთა კავშირში სხვა პარტია იმიტომ არაა, რომ კომუნისტური პარტია გამოხატავს ყველა ერისა და საზოგადოების ყველა ფენის ინტერესებსო.

რამდენი გაფუტეშებული კერპი გაკეთდა, რომლებსაც ვერა და ვერ შეეფლიეთ. კერპების დამხობა სტალინის კულტით დაიწყო 60-იან წლებში, მაგრამ ხრუშჩოვის მიერ სტალინის კრიტიკა დიდის ნაბა იყო იმასთან შედარებით, რაც „გარდაქმნა-პერესტროიკის“ დროს გაჩაღდა. მერე აღმოჩნდა, რომ სტალინის მიერ რეპრესირებულ „პარტიულ და საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეებს“—ტროცკის, ზინოვიევს, კამენევს, კრესტინსკის, ბუხარინს, რიკოვს, რადეკს, პიატაკოვს, რომლებიც საბჭოთა პროპაგანდამ ლამის წამებულ წმინდანებად შერაცხა (გარდა ტროცკისა)— ხელი აღლამდე ჰქონიათ ჩაყოფილი, სხვისი რომ არა ვთქვათ ერთმანეთის სისხლში. სტალინმა ხომ თითოეული მათგანი ყველა დანარჩენ ცოცხლად დარჩენილთა აქტიური მხარდაჭერით გახრიხა! ბოლოს საბჭოთა პროპაგანდა იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ ლენინის სიკვდილის შემდეგ მას თუნდაც ერთი ერთგული მიმდევარიც არ დარჩენია უმაღლეს აპარატში.

სხვა გზა არ დარჩა —კრიტიკამ ლენინსაც ვერ აუარა გვერდი, მაგრამ უფრო თამამად მარქსს და მის „კაპიტალს“ მიეკარა. კაპიტალი ხომ კომუნისტების ბიბლიად ითვლება, მას მარქსი ორმოცი წლის განმავლობაში წერდა, მთელი ცხოვრება შესწირა და მაინც ვერ მოასწრო დამთავრება. ახლახანს კი „ლიტერატურნაია გაზეტაში“ შავით თეთრზე დაიწერა, რომ „კაპიტალი“ არავისთვის საჭირო არ ყოფილა, როგორც ნორმალური კაცის გონებისათვის მიუწვდომელი, თურმე ვერ გაუგია ის ენგელსსაც, რამეთუ მარქსმა არ დაუტოვა მას ასეთი შანსი, ლენინისთვისაც კი გაუგებარი დარჩენილა, მარქსი კი, რომელმაც მთელი სიცოცხლე შეალია ამ წიგნის წერას, წერას ატანილი ყოფილა.

ყველაზე საცოდავი დღე სოციალიზმის კულტს დაადგა. ჩვენმა ქვეყანამ ტრიუმფალური მარშით გაიარა სოციალიზმის გამარჯვების, სოციალიზმის ხაბოლოდ და უკანმოუხედავად გამარჯვების, მწიფე სოციალიზმის, რეალური სოციალიზმის და განვითარებული სოციალიზმის ფაზები. ფართოდაა ასევე ცნობილი ჩაუშესკუსეული, ჰონეკერისეული, ჟივკოვისეული, სოციალიზმის მოდელები. აღმოჩნდა, რომ არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი —სოციალიზმი არ ყოფილა, არც კი ვიცით, ჩვენს საზოგადოებრივ ფორმაციას ამჟამად რა სახელი მიესადაგება და რანაირი უნდა იყოს ის სოციალიზმი, რომელიც თავიდან გვაქვს ასაშენებელი.

დღევანდელ ვითარებაში ძალზე მძიმეა კომუნისტური პარტიის უფროსი თაობის ე. წ. იდეური კომუნისტების მდგომარეობა. მე მათ ორ ძირითად ნაწილად დავყოფდი.

პირველი ნაწილია, რომელთა მსოფლმხედველობამ განიცადა ტრანსფორმაცია და მიხვდნენ, რომ ამაოდ ჩაიარა მთელმა ბრძოლამ. მათი კლასიკური წარმომადგენელი გვყავს ჩვენს კოლექტივში— ბატონ ვლადიმერ შონია, მკითხველს ემახსოვრება მისი წერილი გაზეთ „მებრძოლში“. მე მისაუბრია ბატონ ვლადიმერთან. „ჩვენ არ ვყოფილვართ სტალინის პარტიის წევრები, ჩვენი ბელადი ყოველთვის იყო ვ. ი. ლენინი, ჩვენ ვიდვწოდით სტალინის ხელმძღვანელობით და ვაკეთებდით ყველაფერს ლენინურად,— ნაწყენი კილოთი ამბობს იგი,— მას აწუხებს, რომ მთელი ცხოვრება ამაოდ დაიხარჯა, რომ ყველაფერი ის, რაც მის თაობას გაუკეთებია—უკეთურობაა. ბატონი ვლადიმერი არ ყოფილა პარტიული ჩინოვნიკი. იგი თავისი პარტიის ერთგული ჭარისკაცი იყო და საკუთარი თავისთვის არასოდეს ეცალა. განსაკუთრებით გულდაწყვეტილია იმის გამო, რომ ვერ მიუგნია, ვერ უპოვია ის, ვისაც პასუხს მოსთხოვს თავისი ამაოდ გახარჯული ცხოვრების გამო.

მეორე ნაწილი, რომელთა შეგნებამაც ტრანსფორმაცია ვერ განიცადა, მათ პირობითად გეწოდოთ „პერესტროიკა-გარდაქმნის“ მოწინააღმდეგენი. ესენი არიან სტალინისტები..

მთელი ხამოცდაათი წელიწადი ხიცრუეს და ორპირობას ჩაგვჩიჩინებებდნენ, მთელი ხამოცდაათი წელიწადი გვაიძულებდნენ ერთი გველაპარაკა, მეორე გვეკეთებინა და მესამე გვეფიქრა: „ხიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსაო“ —გვასწავლიან რუსთაველი და პლატონი. ძალიან ავნო სულს ხიცრუემ. ბევრი სული კი ხაბოლოდ დამახინჯდა. ბევრმა, ხაკმაოდ ბევრმა ხიცოცხლის ხაუკეთესო ნაწილი რომ სტალინს ოხანას უგალობდა, მერე ვეღარ მოიცალა ხატანი...

მათი აზროვნება გახაოცრად ერთგვაროვანია, ხოლო არგუმენტები კი ძალზე უხუხური. თურმე სტალინის დროს დისციპლინა ყოფილა. განა არ იციან ამ ადამიანებმა, რომ დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში საერთოდ აკრძალულია ადამიანის სიკვდილით დასჯა, მაგრამ იქ დაო. არ ვედავები, შესაძლებელია, მართლაც ასე ეყო, მაგრამ რატომ ივიწყებენ მთავარს. ფასი ყველაზე უძვირფასესის, რაც შეიძლება დედამიწაზე არსებობდეს—ადამიანის თავისუფლებისა და ადამიანის სიცოცხლის—გაბვრეტილი კაპიკი იყო. ის პროდუქტები, რომლებიც თითქოს უხვად და იაფად იყო, კოლმეურნეთა მონური ექსპლოატაციით იწარმოებოდა, ახალი ქალაქები და მრეწველობა მილიონობით უსამართლოდ რეპრესირებულთა კატორღული შრომით შენდებოდა. სტალინისტები შემოგვედავებიან—სტალინს ათობით მილიონი ხალხი კი არ გაუწყვეტია არამედ რამდენიმე ასეული ათასიო. განა ამართლებს თუნდაც ერთი ადამიანის არა თუ დახვრეტას, არამედ შუალამისას გაღვიძებას და ჩეკაში დასაკითხად წაყვანასაც ის ცხოვრება, რომელიც ჩვენ მივიღეთ.

სტალინისტები კიდევ ერთ უსუხურ ელემენტს მოიშველიებენ—ხელმძღვანელობა არ გამოდგა, თორემ უკეთესი შედეგები გვექნებოდაო; რაც მართალია, მართალია,— ხრუშჩოვი, ბრეჟნევი და ჩერნენკო დიდ პიროვნებებად ძნელად რომ ვინმემ შერაცხოს... მაგრამ განა ხრუშჩოვი სტალინის ფავორიტი არ იყო (ხრუშჩოვის —ბრეჟნევი, ბრეჟნევისა —ჩერნენკო). როგორ დავიჯეროთ იმ პოლიტიკოსის გენიალობა, ვისაც ხრუშჩოვისა და მისი ბკუის ხალხი ჰყავდა უახლოეს გარემოცვაში?

სტალინისტებმა იციან, რომ ყველაზე „მოწყვლადი“ ადგილი სტალინის პიროვნებისა არის მისი დამოკიდებულება საქართველოსადმი. მან ხომ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „აღმადგმა გადახნა“ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და მისი თავისუფლება სისხლში ჩაახრჩო. უდავოა, რომ მისი არამართი გამართლება, გაგებაც კი არ შეიძლება. ეს მკრეხელობაა. მაგრამ ჩვენს გაუბედურებულ საზოგადოებაში მკრეხელებიც ასატანზე უფრო მეტია. მარტო ვლადიმერ მერკვილაძის სტატია რად ღირს „პარტიულ სიტყვაში“, თურმე „საბჭოთა ხელისუფლების დამყარება სურდა საქართველოს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას და საბჭოთა რუსეთმა ძმური დახმარების ხელი გაუწოდა აჯანყებულ ქართველ მშრომელებს უთანასწორო ბრძოლაში“.

ჩვენს მკითხველს ალბათ ემახსოვრება ცნობილი კრიტიკოსის თ. წივწივაძის გახმაურებული სტატიები „რამდენიმე შენიშვნა“ და „ლოზუნგების ქვეყანაში“. რა დღე დაიწიეს მას „ქართველმა მარქსისტებმა“, გასაკვირია მათი ასეთი გამძვინვარება. საინტერესოა ეს ხალხი „ლიტერატურული საქართველოს“ გარდა ცენტრალურ პრესას არ კითხულობს? თუნდაც „ოგონიოკს“, „ლიტერატურნაია გაზეტას“, „დიალოგს“,... რომელი ერთი ჩამოვთვალო, რატომ იმათ არ დაცხრებიან... თუ ქართველისთვის არ შეიძლება უდღეური იდეების კრიტიკა?

მკითხველს ემახსოვრება ალბათ თამაზ წივწივაძის პასუხიც თავისი ოპონენტებისადმი „გაიღვიძე, გრიშა ბიძია, დეპოში ვართ!“

ენგურჰესაღლდგომბინატშიც გვეწვია პროფესორი გრიგოლ ფეანია და „ლექცია“ წაუკითხა მუშა-მოსამსახურეთა ერთ ჯგუფს, ავმა ენებმა ისიც თქვეს, თურმე ხაზოგადოება სტალინის ფილიალის ჩამოყალიბება ჰქონია განსაზღვრული პატივცემულ პროფესორს. რაოდენ ნიშანდობლივია, რომ უფროსი თაობის სტალინისტებმა, ბატონებმა, შ. სიჭინავამ, გ. სორდიამ, შ. გოგიამ მას წარმატების არავითარი შანსი არ დაუტოვეს.

ვერა, გრიშა ბიძიებო, დროს ვერ შეაბრუნებთ. ისტორია აღარ მეორდება, ისტორია გაუსწორდა თავის მოძალადეებს და მუშაობის ძველებური სტილისა და ნორმების აღდგენის იმედი ნუ გექნებათ.

დავით ჩარგაზია,
ეკონომისტი, რუსთაველის საზოგადოების ზუგდიდის რეგიონული საკრებულოს წევრი.

ჩაი—90

არის მისი წვლილიც

სულა თოლორაია კახათის კოლმეურნეობის ერთ-ერთი მოწინავე მეჩაიე-მერგოლურია. მან შარშან 8 ტონა ნედლეული ჩაბარა მრეწველობა. წელსაც არ აპირებს ვალში დარჩენას.

სურათზე: კახათის კოლმეურნეობის №6 ბრიგადის მერგოლური სულა თოლორაია.

ფოტო აკ. ყუფუნიასი.

ინფორმაცია

ნაყოფიერი შრომით

ნებისმიერი შრომითი კოლექტივის წარმატებას, ბუნებრივია, მისი ძირეული რგოლების გამართული, მწყობრი საქმიანობა განაპირობებს. თითოეული მშრომელის პირადი ინიციატივა, მორალური ღირსებები უშუალოდ მისთვის დაკისრებულ საქმეში ვლინდება.

ჩაის კომბინატ „ოდიშში“ ერთ-ერთ სტაბილურ კოლექტივად ითვლება დამფასებელი საამქრო (უფროსი რ. ხუბულავა). აქ ხდება პროდუქციისათვის საბოლოო სამომხმარებლო სახის მიცემა. წარმოებს უზუსტესი მექანიკური პროცესები, სტანდარტული წონების რეგულირება და სხვა.

საამქროს რითმულ მუშაობაში თავისი წვლილი შეაქვთ მექანიკოსებს ვალერი შურღაიას, ბენვალ ახალაიას, ტატიანა ბერაიას, თათუშა მელიას, ზაზა გულორდავას და სხვებს.

აღნიშნულმა საამქრომ მიმდინარე წელს შესაშური ნაყოფიერებით იმუშავა. გასულ ექვს თვეში დაფასებულ იქნა 4561 ტონა ბაიხის ჩაი, რაც გეგმიურ მოცულობას ჭარბობს.

საამქროში მომუშავენი ამჟამად ნაყოფიერად აგრძელებენ საქმიანობას, რათა ამ ეტაპზე თავიანთ გარკვეულ სიძნელეებს თავი მოაბან და შეიდი თვეც წარმატებით გააცილონ.

ჯ. თალია

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი რედაქციას

არცერთ ჩვენთაგანს, რომლებიც ხელს ვაწერთ ამ წერილს, პრეტენზია არ გვაქვს მხატვრობაზე, მაგრამ კარგისა და ცუდის გარჩევა ნამდვილად შეგვიძლია. გულახდილად უნდა გითხრათ, რომ არ მოგვწონს იმ ასოების მოხაზულობა, რომლითაც ჩვენი გაზეთის სათაური „ოდიშია“ დახატული, სათაური სამერმისოდ რომ არ გამოდგება, ამას დიდი მტკიცება არ სჭირდება.

ზუგდიდში ჩვენდა საბედნიეროდ არაერთი ნიჭიერი მხატვარი გვყავს. გამოგვეცხადებინა კონკურსი და რომელი მათგანი დაიშურებდა მონდომებას, რომ ჩვენი გაზეთის სათაური უფრო მოხდენილი და მიმზიდველი ყოფილიყო. კონკურსის გამოცხადება კი არც ეხლაა გვიანი.

მ. გაღლიშვილი,

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სარაიონთაშორისო სამმართველოს უფროსი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

მ. ფაცაცია,

ზუგდიდის სატრაქტორო პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმოს დირექტორი.

გ. ბიჭია, შ. ჯიქია.

ომისა და შრომის ვეტერანები.

რედაქციისაგან: ანალოგიური ხასიათის შენიშვნა ჩვენი გაზეთის არაერთმა მკითხველმა შემოგვთავაზა. ვითვალისწინებთ რა მკითხველთა სამართლიან შენიშვნებს

ვაცხადებთ კონკურსს

გაზეთ „ოდიშის“ სახელწოდების გრაფიკის გაფორმებაზე. ნახატი უნდა შესრულდეს შავი ტუშით ან შავი ფანქრით. ნახატის ზომა არ უნდა აღემატებოდეს ჩვენი გაზეთის ყუთ სვეტს.

საუკეთესოდ შესრულებულ ნახატზე დაწესებულია ერთი ფულადი პრემია 100 მანეთი.

კონკურსზე ნამუშევრის წარმოდგენის უკანასკნელი ვადაა 25 აგვისტო.

გაზეთ „ოდიშის“ რედაქცია.

სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომში

ამ დღეებში სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა განიხილა საკითხი საფეხბურთო კლუბ „ოდიშისა“ და ცენტრალური სტადიონის ერთ ორგანიზაციად გაერთიანების და კლუბის ფინანსური მდგომარეობის გაჯანმრთელების ღონისძიებათა შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს ფეხბურთელთა კლუბ „ოდიშის“ მოთხოვნა და იგი ცენტრალურ სტადიონთან გაერთიანდეს ერთ ორგანიზაციად. ამასთან დაკავშირებით გაუქმდეს ცენტრალური სტადიონის დამოუკიდებელი სამეურნეო ანგარიში ბანკის განყოფილებაში.

2. საფინანსო განყოფილებამ (გამგე ზ. მიქავა) უზრუნველყოს ცენტრალური სტადიონის საბუღალტრო დოკუმენტების მკაცრი აღრიცხვის ბლანკების არსებული წესების დაცვა-გადაბარება.

3. საფეხბურთო კლუბ „ოდიშს“ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი გაფართოებისა და საფეხბურთო რეზერვების მომზადების გაუმჯობესებისათვის ფინანსური რეზერვების მოზიდვის მიზნით ნება დაერთოს ქალაქის მთავარ არქიტექტორთან შეთანხმებით მოაწყოს:

კომპიუტერული სათამაშოების დამონტაჟება ბაზრისა და ავტოსადგურის ტერიტორიაზე;

—სტადიონის ტერიტორიაზე ტანსაცმლის კერვის სამკერვალო, გაიხსნას ვიდეო-ბარი, გამაგრილებელი და მინერალური წყლების სარეალიზაციო ორი კიოსკი; სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე სოკოს მოსაყვანი სათბური.

აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაეკისრა საქალაქო საბჭოს აღმასკომს.

სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

გიწვევთ სასწავლებლად!

საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის ზედაეწერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1990-1991 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

აგრონომიულ განყოფილებაზე:

უმცროსი აგრონომის სპეციალობით. 8 წლიანი სკოლის ბაზაზე შექმნილ ჯგუფებში პირველ კურსზე—სწავლების ვადით 3 წელი და 6 თვე.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის განყოფილებაზე —ტექნიკოს მექანიკოსის სპეციალობით.

ა) რვაწლიანი სკოლის ბაზაზე შექმნილ ჯგუფებში პირველ კურსზე სწავლების ვადით 3 წელი 10 თვე.

საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილებაზე: ბუღალტრის სპეციალობით.

საშუალო სკოლის ბაზაზე შექმნილ ჯგუფებში მეორე კურსზე სწავლების ვადით ერთი წელი და 9 თვე.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ორგანიზაცია— ტექნოლოგიის განყოფილებაზე ორგანიზატორ-ტექნოლოგის სპეციალობით.

ა) საშუალო სკოლის ბაზაზე შექმნილ ჯგუფებში სწავლების ვადით 3 წელი და 6 თვე.

რვაკლასდამთავრებულები ტექნიკუმის დამთავრებით ღებულობენ ზოგადსაშუალო განათლებას და დიპლომთან ერთად მიიღებენ მესამე კლასის ავტომძღოლისა და ტრაქტორისტის მოწმობებს. წარჩინებით კურსდამთავრებულები კი სარგებლობენ ოქროს medalოსანთა უფლებით, პროფილის მიხედვით.

ტექნიკუმში მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე. მათ დირექტორის სახელზე უნდა შეიტანონ განცხადება ერთიანი ფორმის მიხედვით შემდეგი საბუთების თანდართვით:

დოკუმენტი 8 კლასისა და საშუალო განათლების შესახებ (დედანი), სამედიცინო ცნობა, ფორმა ფ. №086, გაცემული საექიმო პროფილაქტიკური დაწესებულების მიერ საცხოვრებელი ადგილის შესაბამისად, ამონაწერი შრომის წიგნაკიდან დამოწმებული წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ. სასწავლებლად მივლინებულთ მომართვა ერთიანი ფორმით (დანართი №3, №4) ეძლევათ საწარმოებიდან, მშენებლობებიდან, კოლმეურნეობებიდან, საბჭოთა მეურნეობებიდან, დაწესებულებებიდან, ორგანიზაციებიდან. 4 ცალი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომით 3X4), სასწავლებელში შემსვლელნი პირადად წარადგენენ დაბადების მოწმობას ან პასპორტს, სამხედრო ბილეთს, თადარიგის სამხედრო ვალდებულნი (ან მიწერის მოწმობას, გასაწვევი ასაკის პირი) რის შესახებაც შემსვლელთა პირად საქმეში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე.

მისაღები გამოცდები ჩატარდება

1. **საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობაზე:** 1. მათემატიკა (ზეპირი), 2. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (თხზულება),

II. **ორგანიზატორ-ტექნოლოგის სპეციალობაზე** 1. ქიმია (ზეპირი), 2. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (თხზულება).

შენიშვნა: აგრონომიულ და სოფლის მეურნეობის სპეციალობაზე (№1302-1308). გავრცელდება ექსპერიმენტი და აბიტურიენტები ჩაირიცხებიან უგამოცდოდ (კასაუბრებით) ასევე „4“ და „5“ შეფასების ატესტატის მქონე აბიტურიენტები ჩაირიცხებიან ექსპერიმენტის წესით (გასაუბრებით).

ტექნიკუმის მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესით, ბინით, უფასო კომუნალური მომსახურებით.

მისამართი: ზუგდიდის რაიონი, ზედაეწერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. ტელეფონი 73—2—47.

დირექცია.

ქ. ზუგდიდს ცენტრალურ სტადიონზე 20 ივლისს გიწვევთ

საესტრადო გასართობ შოუ-კონცერტზე, რომელშიც მონაწილეობენ როკ-ანსამბლი „ოკეანე“, მღერის ვახტანგ მაკალათია. საესტრადო ანსამბლი „პირამიდა“ (ხელმძღვანელი თ. სიჭინავა) ვია „ორერა“ (ხელმძღვანელი გენო ნადირაშვილი).

გთავაზობდეთ ერთგულების ლატარია. თამაშდება ავტომობილი „ვაზ №21068“, ვიდეომაგნიტოფონი და სხვა ნივთმოგებანი. ერთი სიტყვით, თქვენ გელოდებათ სულიერი დასვენება და მხიარული განწყობილება. დასაწყისი 19 საათზე.

საფეხბურთო კლუბი „ოდიში“.

მეგობრის ხსოვნას



ჩვენი რეგიონის კულტურის სფეროს მუშაკთა რიგებს გამოაკლდა შესანიშნავი ინტელიგენტი, ხალხური თვითმოქმედების ნამდვილი ენთუზიასტი **ავთანდილ ბიჭკორის ძე ხაჟომია.**

ა. ხაჟომია დაიბადა 1925 წელს, გეგეჭკორის რაიონის სოფელ საელიაოში. საშუალო სკოლის და მთავრების შემდეგ იგი მოხალისედ მიდის დიდი სამამულო ომის ფრონტზე. მსახურობდა სამხედრო საზღვაო ფლოტში.

1952 წელს ა. ხაჟომია ა. ბერერებს თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტს და იმავე წლიდან მოუღლი გატაცებით ებმება ჩვენი რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში. სხვადასხვა დროს იყო რაიონის კულტურის სახლის და კულტურისა და დასვენების პარკის დირექტორად. ჩვენი თანამემამულეებისათვის არაერთხელ მიუნიჭებია სიამოვნება მის მიერ განხორციელებულ თეატრალიზებულ დღესასწაულებს, სახალხო სეირნობებს, სხვადასხვა სანახაობებს. არაერთგზის მოუპოვებია გამარჯვება მხატვრული თვითშემოქმედების საკავშირო თუ რესპუბლიკურ დათვალიერებებში.

საქმეზე უზომოდ შეყვარებული, გულკეთილი, უალატო მეგობრის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს გულში.

მეგობრების ჯგუფი.

რედაქტორი
აკ. ჭანტურია.

ᲘᲜᲓᲔᲥᲡ 66507 **რედაქციის მისამართი:** ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. № 52 **ტელეფონები:** რედაქტორის — 2-24-80, რედაქტორის მოადგილის — 2-35-69 პასუხისმგებელი მდივნის — 2-21-96, ხოლქის შეურნეობის განყოფილების — 2-21-78 მკითხველთა წერილების — 2-25-12, რადიორედაქციის — 2-47-[illegible]

ხაქ. სსრ გაერთიანებული ზუგდიდის „ოქტომბერი“ მერაბ კოსტავას ქ. № 56 ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 22000. შეკ. №3349

მოსწავლე ახალგაზრდობის პარკის ბაზაზე გაიხსნა ბავშვთა ბანაკი ორჯერადი კვებით. ბანაკი იმუშავებს ყოველდღე დილის 8 საათიდან საღამოს 6 საათამდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღებაზე დარეკეთ ტელეფონით: №2—37—28.

პროფკავშირის საქალაქო კომიტეტის ბავშვთა ბანაკი.

მეუღლე რაფიელი, შვილი ნანა, მული ნორა ჭანტურია, რძლები: თალიკო ბასილაია, ქენია ჭანტურია, რიმა ეხვაია, ძმისშვილი ზურაბ ბასილაია, მაზლიშვილი დალი ჭანტურია, სიძე ელდარ გოგია, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან

მარიამ იოსების ასულ ბასილაია ჭანტურიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 17, 18 ივლისს. დაკრძალვა 19 ივლისს, გამოსვენება 18 საათზე. ნოლეერის ქ. 28.

შვილები ლიდა, მუშური, ომიკო. სიჭინავები, და ვაო, რძლები: ანტისა სიჭინავა, ვალია ლატარია, ზოია ასალაია, სიძეები საშა ჩხენკელი, ჯუმბერი კატია. გუნაში გოგოლაშვილი, ვაჟა მეკუა, კახა კვარაცხელია, დისშვილები: ციცი ბიქავა, პაპმენი, ვალიკო, დეური დგებუაძეები, ვალოდია შერა, გელო სიჭინავები, ფატიმა, მადალი სოხაძეები, შვილიშვილები ბაბული, ნანა ჩხენკელები, მანანა, გელა, ნანა, ომარი, ანჟელა სიჭინავები, მულიშვილები ხუტა, ვარდიშა წურწუმიები, მაზლიშვილი ლამარა სიჭინავა, მამიდაშვილები, ბიძაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

ნელი გვადას ასულ წურწუმია-სიჭინავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15, 16 ივლისს. დაკრძალვა ივლისს ქ: ზუგდიდში, გამოსვენება ივლისის 72-დან.

ზუგდიდის რაისაავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან

ვენერა ალექსის ასულ ნაჟუბია-მოსიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

შვილი რეზო. და მაგდალინა, შვილიშვილები: ნიკოლოზი, ლევანი, რძალი ნელი ფაცურია ძმისშვილები: აზა, ეთერი. მზისა. მთვარისა ლოგუები, ბასშვილები ავრორა, მურმანი ივარდავები, გაზრდილი დათიკო ხვიტია, სიძე ვლადიმერ ღურწკაია, მულიშვილები სულიკო, ხუნტული ღურწკაიები მაზლიშვილები: გოგუცა, ლამარა გუნაევები იუწყებიან

ოლია კირილეს ასულ ლოგუა-გუნავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15 ივლისს. დაკრძალვა 17 ივლისს, გამოსვენება 18 საათზე ს. რუხი, სხულუბიას ქ. 15.

შვილი თინა, შვილიშვილი ელისო ქვანიები, ნონა გეხარია, რძალი ელისო ყურაშვილი, სიძე მერაბი ხვეტია იუწყებიან

ოლია ძეგას ასულ ციერამუა-გახარიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 17 ივლისს სოფ. მუხურში. (ჩხოროწყუს რაიონი).

მეუღლე ზოია, შვილები: თამაზი, მანანა, დები: ეფენა. ნუნუ. ძმები: ოთაური, ია'ა, დემური, ბორიკა. სიდედრი: გოგო, ცოლისძმები: ლერი, ზაური ლაგვილავები, დისშვილები: ჯემალი, თენგო გაბედავები, მარინა ფიფია, ძმისშვილები: ნელი. სოსო, მაია, თემური, მარინა, ლალი, მალხაზი, მურთაზი, ლევანი, რძლები ბუცა, თავა, მივალი. ლიანა, სიძეები: შოთა ფიფია, ანზორი გაბისონია, თორნიკე მოლაშხია, იურა ბიდალაშვილი, ბიძები გრიშა ცანავა. ორესტი ფარცვანია, ბიცოლები: დუშა, ნუცა, ვალენტინა. შუშანიკა, ბიძაშვილები: დოდო. ნოდარი. კუკური. ნარა. ნარგიზა. აული, დალი, ნაზო, როზა, იურა. მიდლენა დამენია იუწყებიან

რეზო ვასოს ძე ფარცვანიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15 ივლისს. დაკრძალვა 17 ივლისს. გამოსვენება ზუგდიდი, ქუთაისის ქ. 74.

ცაიშის აფთიაქის თანამშრომლები იუწყებიან

ტერენტი ბაკალაძის

გარდაცვალებას.